

შპს „ბაკურიანი ბიზნეს ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისათვის

ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ

შპს „ბაკურიანი ბიზნეს ჯგუფი“ შემდგომში კომპანია დაარსდა 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. მარეგისტრირებული ორგანო ახალციხის საგადასახადო ინსპექცია, სამართლებრივი ფორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 226166163, იურიდიული მისამართია ბორჯომი დაბა ბაკურიანი დიდველის მიმდებარედ.

2016 წლის აპრილიდან 2019 წლის დეკემბრის ჩთვლით კომპანიის დამფუძნებელია 100% წილით ვლადიმერ სტეფანიანი 11001005174.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცხოვრებელი და სატუმრო ტიპის ფართების მშენებლობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, საცხოვრებელი ფართების გაყიდვა, მომსახურება, არასაცხოვრებელი კომერციული ფართის იჯარა.

კომპანიაში 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 20 კაცს, ხოლო დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობაა 22 კაცი.

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური უწყისები მომზადებულია საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში. კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფიქსირდება ოპერაციის მოხდენის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლის ოფიციალური კურსით ლარში. სავალუტო ოპერაციების მიხედვით წარმოქმნილი სხვაობები აისახება საკურსო სხვაობის სახით შედეგზე.

დებიტორული დავალიანება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

შემენილი მასალების ღირებულება აისახება შემენის ფაქტიური თვითღირებულებით, სასაქონლო მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება განისაზღვრება იდენტიფიცირების მეთოდით

ძირითადი საშუალებები

ნაყიდი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის, მონტაჟის, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირ ხარჯს.

შემოსავლები და ხარჯები

საზოგადოება მუშაობს დარიცხვის მეთოდით, სადაც შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად რომელ პერიოდშიც იქნა მომსახურება გაწეული მიუხედავად მის სანაცვლოდ ფულადი სახსრების ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მათი წყაროების მიხედვით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება დივიდენტების გასაცემად და სხვა მიზნით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდა მოუწევს საზოგადოებას.

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა, გასული და სამეურნეო წლის მოგებისაგან.

ახსნა განმარტებები ბალანსზე

1. ფულადი სახსრები

სალარო

საწარმოში შემოსული და გასული ნაღდი ფული აღირიცხება საბუღალტრო პროგრამაში, შესაბამისად სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერების მიხედვით. სალაროს ნაშთმა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 148306 ლარი.

ბანკი

საბანკო ანგარიშებზე რიცხული ფულადი სახსრების ამსახველი ანგარიშები წარმოებულია სწორად საბანკო ამონაწერებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ანგარიშები გახსნილია ს.ს თიბისი ბანკსა და ს.ს საქართველოს ბანკში როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. საერთო ფულადი თანხა საბანკო ანგარიშებზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2003507 ლარს

2. სავაჭრო მოთხოვნები

მოთხოვნებმა მიწოდებიდან და მომსახურებიდან შეადგინა 3589233 ლარი, ხოლო სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრებმა შეადგინა 6888788 ლარი.

სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება შეადგენს 4511512 ლარი, სხვა მოკლევადიანი აქტივები 373127 ლარს.

ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 14568975 ლარს.

მონაწილეობა სხვა კომპანიის კაპიტალში შენატანით შეადგენს 1499875 ლარს

ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილმა ვალდებულებებმა 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 1805777 ლარი, გადასახდელმა ხელფასმა 47817 ლარი, ხოლო მიღებულმა ავანსებმა შეადგინა 11400038 ლარი.

კომპანიის მიმდინარე სასესხო ვალდებულებებმა შეადგინა 1631261 ლარი, ხოლო
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 3925268 ლარი

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალია 15700 ლარი, კომპანიის გაუნაწილებელი მოგებაა
14757462 ლარი.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2151813	764988	38317
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3589233	3213403	732892
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	6888788	240870	164209
მარაგები	4511512	6725020	8951416
მზა პროდუქცია	4511512	5994418	8888519
სხვა	0	730602	62897
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	373127	1752000	1213977
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	14568975	14315962	11731810
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	1499875	42900	1323375
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	33583323	27055143	24155996

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	8400	0
სავაჭრო ვალდებულებები	1805777	1110573	3418923
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	47817	28492	41659
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1631261	638142	758177
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3925268	4474214	4564632
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	11400038	12202897	10114729
სულ ვალდებულებები	18810161	18462718	18898120

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	15700	15700	65700
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	14757462	8576725	5192176
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	14773162	8592425	5257876
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	33583323	27055143	24155996
სულ მოკლევადიანი აქტივები	10625685	10944281	9886834
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3484855	13988504	14333488

ახსნა განმარტებები მოგება-ზარალზე

2021 წელში საქონლის გაყიდვებიდან (ბინების რეალიზაციიდან) მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 15752528 ლარი, ხოლო მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა (მომსახურებიდან ბინებზე მოსაკრებელი და სხვა მომსახურება) 675032 ლარი. საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 254727 ლარი

წლის განმავლობაში გაწეული რეალიზაციის და მომსახურების თვითღირებულებაა (გაყიდვების თვითღირებულება) 8238581 ლარი

დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაა 482909 ლარი, ცვეთა და ამორტიზაცია 651331 ლარი, საპროცენტო ხარჯია 545145. იჯარის ხარჯი 30508, ადმინისტრაციური და სხვა ხარჯი 553076 ლარი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	16427560	13328911
საქონლის გაყიდვიდან	15752528	74035
მომსახურების გაწევიდან	675032	534122
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	12720754
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-8238581	-7632453
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	8188979	5696458
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-482909	-198076
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-651331	-425727
საპროცენტო შემოსავალი	254727	108576
საპროცენტო ხარჯი	-545145	-476424
იჯარის ხარჯი	-30508	-46271
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-553076	-767236
სულ საოპერაციო ხარჯები	-2008242	-1805158
საოპერაციო მოგება	6180737	3891300

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	6180737	3891300
მოგების გადასახადის ხარჯი	0	128259
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	6180737	4019559

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, 'ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	6180737	4019559
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	8592425	5257876
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-685010
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	14773162	8592425

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	8554703	5065735
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-5273216	-2311046
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1894662	-2060760
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	1386825	693929
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტზე	0	32742
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	764988	38317
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2151813	764988